ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო
კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

23 იანვარი, შაბათი, 1990 წ.
№ 15 (10 184) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

მოკავშირეც ვიპოვეთ

როგორც „ლელოს“ მკითხველებს შევპირდით, დღეს დაწვრილებით გაცნობებთ იმ მოლაპარაკების თაობაზე, რომელიც რამდენიმე დღის წინ გაიმართა საქართველოს სპორტული დელეგაციის წევრებსა და იაპონიის ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელებს შორის. ამის შესახებ, როგორც გაზეთის 21 იანვრის ნომერში ითქვა, გვიამბო საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა შოთა ხაბარელმა, რომელიც ქვეყნის ნაკრებს ახლდა ამომავალი მზის ქვეყანაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე. ჩვენი დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ (და ცხადია, მოლაპარაკებას წარმართავდნენ) საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარე ნუგზარ ენდელაძე და ძიუდოს რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ანდრო ღლონტი.

იაპონელთა მხრიდან მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ ამ ქვეყნის ძიუდოს ფედერაციის თავმჯდომარე ჟუტუძიკუ კანო და მისი მოადგილე იამამოტო ნაბიუკი.

მაშ ასე, სიტყვას ვაძლევთ შოთა ხაბარელს.

— იაპონელებთან ძირითადად ქართული ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის შექმნაზე გვქონდა საუბარი. იაპონიის ძიუდოს ფედერაციას, ცხადია, უდიდესი ავტორიტეტი აქვს და მის მხარდაჭერას ისევე უდიდესი მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის.

ძალზე სასიხარულოა, რომ ჩვენი მასპინძლების პოზიციაში სრული ურთიერთგაგება და მხარდაჭერის განზრახვა დავინახეთ. მათთვის, რასაკვირველია, ცნობილია ჩვენი ძიუდოისტების წარმატებები, ისიც კარგად იციან, რას ემყარება ეს მიღწევები, რომ ქართული ჭიდაობის ილეთები ძიუდოსაც ამდიდრებს... ადრინდელ საუბარში, მახსოვს, უკვე გითხარით, რომ იაპონელებს თვით ქართული ჭიდაობის ჯგუფების შექმნაც კი სურთ და საერთაშორისო ფედერაციის ჩამოყალიბებასაც, ცხადია, მხარს დაუჭერენ.

მოკლედ, შეთანხმებას იოლად მივაღწიეთ. მაგრამ ამ საქმეში მარტო ორი სახელმწიფოს სურვილი ალბათ არ არის საკმარისი. იაპონელებმა თვითონ ივალდებულეს კიდევ ორი სახელმწიფოს თანხმობა და თანადგომის დასტური. ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს მოველაპარაკებით. იაპონელებთან საუბარში კონკრეტულ ნაბიჯებზე ჯერ არაფერი გვითქვამს, რადგან, პირველ ყოვლისა, რამდენიმე ქვეყნის თანხმობა გვჭირდება. საერთაშორისო ფედერაციის შექმნის საკითხსაც კონკრეტულად მერე დავაყენებთ.

სხვათა შორის, იმ მხარდაჭერისათვის, რომელსაც იაპონელები ჩვენს მიმართ იჩენენ, შევთავაზეთ, ფედერაციის პირველ პრეზიდენტად იქნებ იაპონელი ავირჩიოთ-თქო. უარი გვითხრეს, ქართული ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პირველი პრეზიდენტი აუცილებლად ქართველი უნდა იყოს, მერე კი ვნახოთო.

იქვე ველაპარაკეთ ანტონიო ინოკისაც. ალბათ გეცოდინებათ, ძიუდოისტთა თბილისის საერთაშორისო ტურნირის შემდეგ, რომელიც 27 თებერვალს იწყება, ღია შეჯიბრება გვინდა მოვაწყოთ ქართულ ჭიდაობაში. წინასწარ პრესკონფერენციაზე ყველა დელეგაციას გავაფრთხილებთ და ვისაც სურვილი ექნება, კიმონოს შემდეგ ქართულ ჩოხასაც ჩაიცვამს, ინოკიც ოფიციალურად მოვიწვიეთ ამ ტურნირზე სხვა ექვს პროფესიონალ მოჭიდავესთან ერთად. თუკი ისინიც გამოვლენ ქართულ ჭიდაობაში, მართლაც კარგი იქნება.

კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი მინდა გაცნობოთ: იაპონელებს ძალიან სურთ და განზრახულიც აქვთ თბილისში საკუთარი სახსრებით ააშენონ ძიუდოს სასახლე. არაფერ პირობებს არ ითხოვენ, გარდა ერთისა — სასახლეს იაპონური სახელი უნდა ჰქონდეს. ვფიქრობ, ეს კეთილი ჟესტი ჩვენი ძიუდოისტების ავტორიტეტის აღიარებაც არის.

იხ. მე.2 გვ

დაჯილდოება

ქართული ჭიდაობის განვითარების საქმეში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სპორტსახკომმა სამახსოვრო ოქროს მედლითა და სიგელით დააჯილდოვა ქართული ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაციის ყოფილი თავმჯდომარე, თბილისის აგრომრეწვის თავმჯდომარე, ქალაქის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ალმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **თენგიზ კონსტანტინეს ძე ჯაბადარი.**

თავი შეიკავა... თერთმეტივემ

რატომ არ გამოვიდა კონფერენციაზე საქართველოს წარმომადგენელი?

მაინც ვინ? ვლადიმერ ბარქაიამ, კახი ასათიანმა, დავით ყიფიანმა, გიორგი ბაქანიძემ, შოთა ჭეიშვილმა, ჯონი ჯანელიძემ, გურამ გაბისკირიამ, გულსუნდა დუნდუამ, გურამ ქავთარაძემ, თენგიზ ბურჯანაძემ, ვალერი თაყაძემ.

საქართველოს დელეგაციაში მეტიც არ ყოფილა — 11 კაცმა მიიღო მონაწილეობა მოსკოვში ამას წინათ გამართულ საკავშირო კონფერენციაში, რომელიც სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით მოეწყო.

იხ. მე-3 გვ.

მასპინძლები კვლავ უკონკურენციოდ

საქართველოში წყალში ხტომა მეტ-ნაკლებად მხოლოდ თბილისში, ქუთაისში, აფხაზეთსა და აჭარაშია დანერგილი. რესპუბლიკურ პირველობებშიც ეს ოთხეული გამოდის ხოლმე, უფრო სწორედ, გამოდიოდნენ.

სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში აფხაზეთის წარმომადგენლები საქართველოს პირველობებს სათოფეზე არ ეკარებიან. ამის თაობაზე არაერთხელ დაგვიწერია, მაგრამ პასუხი არასოდეს მიგვიღია. რა არის ეს, ბოიკოტი? ან იქნებ იქაური სპორტსმენები ფიქრობენ, რესპუბლიკურ ჩემპიონატებში, ჩვენი მოუმზადებლობის გამო, არაფერი გვესაქმება და თბილისში ჩასვლა ფულის წყალში გადაყრა იქნებაო.

მართლაც, მთელ აფხაზეთში წყალში ხტომის განვითარებისთვის პრაქტიკულად ბაზა არ არსებობს. ზაფხულობით ზღვაში ხტუნაობით დღეს შორს ვერავინ წავა.

ეგ კია, აფხაზეთის წარმომადგენლები, არც თუ ისე იშვიათად, უკრაინაში ჩადიან შეკრებებზე. იქ ჩასვლით რა გამოდის, ძნელი სათქმელია. მათი მომზადების შემოწმება რესპუბლიკურ პირველობებში, უკვე გასაგები მიზეზის გამო, არ ხერხდება. სოხუმელი სპორტსმენების გვარებს ვერც სხვა შეჯიბრებებზე ვხვდებით.

(იხ. მე-4 გვ.)

ნანა ნებიერიძე


გოჩა გახარია

ტელეტაიპი - მკითხველი

● **ანტჰოლცი.** მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი ბიატლონში შვედმა ანდერს მანელკვისტმა მოიგო. 20 კილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად გაირბინა — 59.26,6. ქალთა შორის 15 კილომეტრზე საუკეთესო შედეგი ბულგარელმა ცვეტანა კრასტევამ აჩვენა — 50.38,9.

● **მურაუ.** სათხილამურო ორჭიდში მსოფლიო თასის გათამაშებას ლიდერობს ნორვეგიის გუნდი — 240 ქულა. მეორე ადგილზეა ავსტრიის (200), მესამეზე — საბჭოთა ნაკრები (157). პირად ჩათვლაში დაწინაურდა ავსტრიელი კლაუს ზულცენბაჰერი — 85 ქულა.

● **მოსკოვი.** კრილატსკოეს ოლიმპიურ ტრეკზე დამთავრდა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატი ტემპიან რბოლაში. პროგრამის ბოლო სახეობა იყო ჯგუფური შეჯიბრება 150 წრეზე 30 საშუალედო ფინიშით. აქ გამარჯვება მოიპოვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ლენინგრადელმა დმიტრი ნელიუბინმა.

● **როსტოვი.** ხელბურთელ ქალთა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის განმეორებითი მეოთხედფინალური შეხვედრა „როსტსელმაშმა“ შინ სოფიის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს მოუგო — 38:21 (17:8).

სევილია. ქალაქის გარეუბანში მოწყობილ საერთაშორისო კროსში წარმატებას მიაღწია კენიელმა ო. ონდორომ. 10 კილომეტრიანი ტრასა მან 28 წუთსა და 20,69 წამში დაფარა. ფინიშთან მეორე იყო პორტუგალიელი დ. კაშტრო — 28.27,60, მესამე — ასევე კენიელი ათლეტი კ. კოკორია — 28.40,16.

„თბილისი-90“ სეოკ-ის პრიზზე

დაძაბული საერთაშორისო კალენდრის თვალსაზრისით სპორტული (სამეჯლისო) ცეკვები არც ერთ სახეობას არ ჩამორჩება. ეს, რა თქმა უნდა, უცხოეთში — იმართება ეროვნული, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები მოყვარულებსა და პროფესიონალებს, უმცროსებსა და უფროსებს შორის. დიდი ხანია, ლაპარაკია ამ სახეობის ოლიმპიურ პერსპექტივაზეც, რასაც სპეციალისტები სავსებით რეალურად თვლიან.

ამ გარემოებას, ცხადია, სპორტული ცეკვების საბჭოთა მესვეურებიც ითვალისწინებენ. ამიტომაცაა, რომ გახშირდა კონტაქტები უცხოელ მოცეკვავეებთან, საბჭოთა წყვილებს აგზავნიან ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები მოვლენათა განვითარების პასიური მჭვრეტელის როლში ყოფნას არ აპირებენ — მათ გადაწყვეტილი აქვთ თვითონ, დამოუკიდებლად გამონახონ საერთაშორისო სარბიელზე გასვლის გზები, გახდნენ სპორტული (სამეჯლისო) ცეკვების საერთაშორისო ფედერაციის (ისად) წევრები და თავისი წვლილი შეიტანონ საქართველოს სპორტული სუვერენიტეტის მიღწევის საქმეში.

სწორედ ეს „ქვეტექსტი“ ექნება იმ კონკურსს, რომლის ანონსსაც დღეს გთავაზობთ — დაგვეთანხმებით, სამომავლო დიდი მიზნები სისხლსავსე სპორტული ცხოვრებით თუ მიიღწევა:

26-28 იანვარს გავშვთა კალათბურთის სასახლეში ჩატარდება სპორტული (სამეჯლისო) ცეკვების ღია საკავშირო კონკურსი „თბილისი-90“ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრიზზე.

კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ მოსკოველი, ლენინგრადელი, რიგელი, ლიეპაიელი, ტარტუელი, ტალინელი, ვილნიუსელი, კაუნასელი, კლაიპედელი, კიეველი, მინსკელი, კიშინიოველი, ყარაგანდელი, თბილისელი, ქუთაისელი, ფოთელი, ოზურგეთელი, ახალციხელი მოცეკვავეები, სამეჯლისო ცეკვების ანსამბლების 1988 წლის საკავშირო კონკურსის ჩემპიონ ანსამბლ „ჟუუვედრას“ (კლაიპედა) წევრები.

კონკურსის ორგანიზატორია საქართველოს კულტურის სამინისტროს მეთოდურ ცენტრთან არსებული სამეჯლისო ცეკვების რესპუბლიკური გაერთიანება, მონოპოლიის უფლებით კონკურსის სპონსორია საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო.

კონკურსი გაიხსნება 26 იანვარს 18 საათზე და გაგრძელდება 27-28 იანვარს 11 და 19 საათზე.

კონკურსი ჩატარდება S (საერთაშორისო), A და C (მოზარდები) კლასებში. შემოსავლის ნაწილი გადაირიცხება სეოკ-ის ანგარიშზე, გაიღება საქველმოქმედო თანხაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

საამაყოც და... საპატრონოც

— „**ჩვენში** კლასიკური ჭიდაობა 1924 წელს შემოვიდა და თავისი ადგილი იპოვა. უფრო გვიან, 1945 წელს, თავისი სამკვიდრო ნახა თავისუფალმა ჭიდაობამ, შემდეგ ძიუდომ... ქართული ჭიდაობა? აბა, მაჩვენეთ „მისი" ადგილი, სადაც დარბაზიც იქნება, მოჭიდავეთა ჯგუფიცა და მუსიკაც. უცხოეთში გავიტანოთო, ვამბობთ, მაგრამ შინაც ხომ უნდა მივხედოთ საქმეს, რა ჭიდაობის პატრონები ვართ, ამაზე ლაპარაკიც არ ღირს.

კარგად მახსოვს, როგორ გავიცანით ძიუდო, რა კულტურა დავინახეთ მასში... იაპონიაში მაშინ საბავშვო ბალი გვიჩვენეს, იმდენი პატარა კიმონო ეკიდა იქ, რამდენიც ბავშვი იყო, და ყველას პატრონის სახელი ეწერა.

აქ კი, სტუმარმა რომ გვთხოვოს, აბა, ერთი, თქვენი ჭიდაობის ჯგუფი გვიჩვენეთო, სად უნდა წავიყვანოთ? თუმცა, შეგვიძლია ვილაცეები შევკრიბოთ სასწრაფოდ, მაგრამ ეს ხომ მოტყუება იქნება?.."

ეს სიტყვები თქვა ძიუდოს ცნობილმა სპეციალისტმა ბიძინა მაზიაშვილმა ქართული ჭიდაობის ფედერაციის პლენუმზე საკმაოდ ცხარე კამათის დროს. პლენუმი ძალზე მდორედ დაიწყო (თვით ფედერაციის ახალი თავმჯდომარის არჩევასაც არ გამოუწვევია რაიმე მღელვარება), მაგრამ შემდეგ მწვავე პრობლემებმა თანდათანობით წამოყო თავი და საუბარს ცეცხლი მოემატა.

ეს უთუოდ საჭირო იყო. გულგრილობა ქართული ჭიდაობის მოკავშირედ არ გამოდგება, ხოლო მოკამათენი კარგა ხანია გადასცილდნენ იმ ასაკს, როდესაც უსაგნო კამათითაც შეიძლება თავის შექცევა.

აქაც ერთი დიდი პრობლემა ჩანს, რაც პლენუმზე აღინიშნა კიდეც: ქართული ჭიდაობის მფარველ-მოამაგეებად ვეტერანებიღა შემორჩნენ. „ჩვენც წავალთ და მერე ვილა იზრუნებს?" — ითქვა გულისტკივილით...

ჩვენ გვინდა ქართული ჭიდაობა მსოფლიოს გავაცნოთ. ეს პატარა ერის დიდი ამბიცია არ უნდა იყოს. კეისარს მართლაც ეკუთვნის კეისრისა, აკი კოსმოსის სივრცეებშიც გაფრინდა „ჩაკრულო" მსოფლიოს ხალხთა გამორჩეულ სიმღერებთან ერთად... ცოტა ვინმეს (ხალხებს ვგულისხმობ) თუ ექნებათ მყარი საფუძველი, ჩვენისთანა განზრახვა დაებადოს. თანამედროვე სპორტის სახეობები ძველ ბერძენთა ასპარეზობების სახეცვლილი ვარიანტებია მხოლოდ. ნამდვილი სიახლე იშვიათია. იაპონელები, სხვასთან ერთად, ცხადია, ამაყობენ ძიუდოთი. ქართული ჭიდაობაც — ეს მხნეობის ფენომენი — ჩვენი სიამაყის საგანი უნდა იყოს...

ჭიდაობის ე. წ. კლასიკურ სახეობებს თავისი, საკმაოდ ძლიერი სტრუქტურა აქვს. ხოლო როგორი სტრუქტურა ექნება ქართულ ჭიდაობას, ეს საკავშირო დებულებებზე კი არა, მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული.

მოკლედ, სამუშაო ბევრია. ათასი წვრილმანი და მსხვილმანი საქმეა მოსაგვარებელი... პლენუმზე სიტყვით გამოვიდა 71 წლის **ივანე ტერუნაშვილი**, ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი, რომელიც ამ ორგანიზაციაში 1946 (!) წლიდან მუშაობს.

— ახლა ამბობენ, კარგი იდეა დაიბადაო, ქართული ჭიდაობა საერთაშორისო სარბიელზე უნდა გავიტანოთო. უნდა მოგახსენოთ, ეს აზრი ახალი არ არის, 1968 წელსაც ვცადეთ, მაგრამ მაშინ ზოგმა ხელმძღვანელმა მხარი არ დაგვიჭირა (ეს მართლაც იოლი დასაჯერებელია, — **გ. ჩ.**), საერთოდ, ისტორიას გაფრთხილება უნდა, მათ შორის, ძველი ფალავნების ისტორიასაც, პრესაში შეცდომებს აღმოვაჩენ ხოლმე.

მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ქართული ჭიდაობის სპეციალისტებს, მსაჯებს. მსაჯობა ძალიან ძნელი საქმეა, ჩვენი მოჭიდავეები მეტის უფლებას აძლევენ თავს, ვიდრე სხვა სახეობაში, ხშირია ჩხუბი და კამათი... შარშანწინ შოთა ზუკაკიშვილს 60 წელი შეუსრულდა. ვინ გაიგო, ვის გაახსენდა? შარშან მეც 70 წლისა გავხდი, 1946 წლიდან ფედერაციაში ვარ. ერთი სიგელი მაინც... გამიხარდებოდა კაცს...

რობინზონ ნუსხელაძე: ქართული ჭიდაობის სპეციალისტებს ისევე უნდა ჰქონდეთ წახალისება, როგორც სხვა სახეობებში. ხომ ხედავთ, მარტო ვეტერანებიღა დარჩნენ. ქართულ ჭიდაობას არაფერი უნდა წავართვათ, მისთვის გამოყოფილი თანხა უნდა დაიხარჯოს მასზე და არა სხვა სახეობებზე...



რევაზ კრიჭინაშვილი: ადრე ქართულ ჭიდაობას თავისი მეხოტბეები ჩვენს ცნობილ მწერლებშიც ჰყავდა. აკაკი წერეთელი აიღეთ, გურამ რჩეულიშვილი... ახლა კი აღარავინ იღებს ხმას.

გიორგი იმერლიშვილი (ძველი მეფოლადე, ქართული ჭიდაობის ერთგული გულშემატკივარი): ხანდახან სოფლებში დავდივარ ქართული ჭიდაობის ჯგუფების სანახავად. ზედიზედ ხურავენ ამ ჯგუფებს, ჩემი ჩატანილი ლეიბები უქმად ცდება. რა, მითითება ხომ არ დაუგზავნეს აქედან?..

მითითება, ცხადია, არსაიდან ყოფილა, ეს ადგილობრივი ხელმძღვანელობების „დამსახურებაა", რომლებიც პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში მწვრთნელისა და ფიზკულტურის მეთოდისტის შტატს შეუტევენ ხოლმე... პლენუმზეც გამოჩნდა, რომ ქართულ ჭიდაობას მხოლოდ სახელი აქვს დიდი, სხვა დანარჩენი საკმაოდ პრიმიტიულ დონეზეა. თუმცა არც ბოლო პერიოდის პროგრესის დაუნახაობა იქნება...

ომზარ შოშიტაშვილი (სპორტსაკომის ჭიდაობის სამმართველოს უფროსი): ამ საუბარში გამოიკვეთა ნაკლოვანებები. ეს ცხადია, მაგრამ ისიც გაიხსენეთ, რომ ამ ექვსი წლის წინ ქართული ჭიდაობა პირდაპირ სულს ღაფავდა, ახლა კი მკვეთრად გამოცოცხლდა მუშაობა. კახეთში, ქართლში კარგი საჭიდაოები აქვთ, სადაც ხშირია შეჯიბრებები. პირველად ჩატარდა საერთაშორისო ტურნირიც. ასეთი პრიზები რესპუბლიკის სპორტის ისტორიას არ ახსოვს. მუშაობა წინ მიდის. ახლა გვჭირდება ჩვენი საკუთარი ბაზა — ამაზე ვზრუნავთ კიდეც. გვჭირდება სპეციალისტები — ფიზკულტურის ინსტიტუტში ქართული ჭიდაობის განხრითაც ჩაირიცხებიან აბიტურიენტები.

2 მარტს, ძიუდოისტთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის დამთავრების შემდეგ, გვინდა და შეჯიბრება მოვაწყოთ ქართულ ჭიდაობაში. იმედია, აქ უკვე ბევრი უცხოელი მოჭიდავე მიიღებს მონაწილეობას. პრიზებიც სათანადო იქნება.

მინდა მივულოცო ქართული ჭიდაობის ფედერაციის ახლად არჩეულ თავმჯდომარეს. ცოტა თუ იქნება ისეთი საპატიო საზოგადოებრივი მოვალეობა, როგორიც ამ ფედერაციის თავმჯდომარეობაა.

ვახტანგ ბალავაძე: აგერ ბიძინამ თქვა, იაპონიაში ფიზკულტურის გაკვეთილი ზოგჯერ მხოლოდ ძიუდოს ეთმობაო. ქართველმა კაცმა ელემენტარულად მაინც უნდა იცოდეს ქართული ჭიდაობა და ამას სკოლაში უნდა ჩაეყაროს საფუძველი. ხშირად უნდა ჩავიდეთ რაიონებში. მახსოვს, ადრე ლანჩხუთში კარგი ფალავნები იყვნენ, ახლა... ამას წინათ გორში ვიყავით 27 მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი. ერთი ამბავი იყო. ჩოჩიშვილსა და ხაბარელს რომ ჩაიყვან სოფელში, კარგი ჭიდაობა გაიმართება, აბა, რა იქნება. ქართული ჭიდაობა ჩვენი ეროვნული საქმეა, აქ ავიდგით ყველამ ფეხი...

და ბოლოს, ფედერაციის ახალი თავმჯდომარის შესახებ. ძველი ხელმძღვანელი — თენგიზ ჯაბადარი — დიდი მადლობით გააცილეს, აღნიშნეს მისი ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობა ამ პოსტზე.

ქართული ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს აგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილე ბიჭიკო სინჯიაშვილი. „საერთო მდგომარეობა ყველამ კარგად იცით და ვიმედოვნებ, თქვენი დახმარებით მეც მალე მეცოდინება, — თქვა მან, — იმედია, ქართული ჭიდაობის განვითარების რეალურ, კონკრეტულ პროგრამასაც შევიმუშავებთ".

სულ ბოლოს კი ერთი საინტერესო სიახლეც გვინდა ვაცნობოთ მკითხველს: ფედერაციის პლენუმზე გადაწყდა, რომ მხარი დაეჭირათ გაზეთ „ლელოში" გამოთქმული წინადადებისთვის: უნდა შეიქმნას მუდმივმოქმედი ჯგუფი, თავისებური კომისია, რომლის მიზანი იქნება მაღალ დონეზე ჩატარდეს საერთაშორისო ტურნირები ქართულ ჭიდაობაში. ამის საჭიროება პირველი ასეთი ასპარეზობის გამოცდილებამ დაგვანახვა.

გიორგი ჩოჩიშვილი.

დაე, ფესტივალიც იყოს!

თვალი გავუსწოროთ სიმართლეს: დღეს ქართული ხელბურთი ჩავარდნილია. მართალია, „ბურევესტნიკი", — ჩვენი საუკეთესო გუნდი — იბრძვის უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად, მაგრამ გულშემატკივრებს ეს, ცხადია, ვერ დააკმაყოფილებს — ხელბურთში ისეთი მდიდარი ტრადიციების მქონე რესპუბლიკას, როგორიც საქართველოა, მარტო პირველ ლიგაში ასპარეზობა არ შეშვენის.

მაინც რატომ დაეშვა თავდაღმა ჩვენი ხელბურთი? ეს რთული საკითხია, მაგრამ აღორძინების სწორი გზა კი, უეჭველია, ბავშვთა სპორტიდან იწყება...

ვინც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში გამართულ ჭაბუკთა საკავშირო ზონალურ პირველობას ესწრებოდა, უთუოდ შეამჩნევდა ჩვენი გუნდის სათადარიგო სკამზე მჯდარ ახალგაზრდა მწვრთნელს.

ეს ახალგაზრდა.... თბილისის ეკონომიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-მუშაკი, საწარმოო ძალთა მოსკოვის ორგანიზაციული საბჭოს ასპირანტი (დაუსწრებელი სწავლების) მერაბ მეტრეველი გახლავთ, რომელიც, ალბათ, სულ მალე დაიცავს დისერტაციას საქართველოს სატრანსპორტო პრობლემებზე. კი მაგრამ, რა შუაშია ხელბურთი?..

რამდენიმე დღის წინ იგი რედაქციაში გვეწვია და ხელბურთზე ვისაუბრეთ:

— ასმეერთე სკოლაში ვსწავლობდი. იქ გივი შარანგიამ ჩამოაყალიბა ხელბურთის სექცია, ასე რომ, პირდაპირ სკოლიდან მოვხვდი ნამდვილ გუნდში — საქართველოს ნაკრებში (1976 წელს), შემდეგ კი — „ბურევესტნიკში". სამწუხაროდ, 1983 წელს ავადმყოფობის გამო აქტიურ სპორტს გამოვეთხოვე.

● **მაშინვე მწვრთნელად დაიწყეთ მუშაობა?**

— 1983 წელს დავამთავრე უნივერსიტეტი, სპეციალობით სამსახური უცებ ვერ ვიშოვე, მეგობრებთან ხშირად დავდიოდი ვარჯიშზე და ნახევარ შტატზე გამაფორმეს „ბურევესტნიკის" სპორტულ სკოლაში, რომელიც, სამწუხაროდ, 1988 წელს დაიხურა, როდესაც ჩვენმა გუნდმა დატოვა უმაღლესი ლიგა. სხვა არგუმენტებიც იყო: ბაზის უქონლობა, უსახსრობა და ასევე ვითომ ისიც, როგორც გადაწყვეტილებაში ეწერა: „სკოლა ვერ ასრულებს თავის ფუნქციას". არადა, დღევანდელ „ბურევესტნიკში" ექვსი მოთამაშეა ჩვენი სკოლის აღზრდილი. სკოლის გუნდი 1983-1988 წლებში ორჯერ იყო სსრ კავშირის პირველობის პრიზიორი.

● **„ბურევესტნიკი" ახსენეთ. თქვენი აზრით, რატომ დატოვა ჩვენმა გუნდმა უმაღლესი ლიგა?**

— მიზეზი საკმაოდ ბევრია, ერთ-ერთი მთავარია მეორე გუნდის არყოფნა. ამით დარღვეულია რგოლი „დიდ" და ბავშვთა სპორტს შორის. ამის გამო ბევრი პერსპექტიული ჭაბუკი იკარგებოდა დიდი ხელბურთისათვის. ფაქტიურად აღარ არის სტუდენტური სპორტიც. დარბაზებიც არ გაგვაჩნია საკმარისი რაოდენობით. გლდანში გვაქვს სპეციალიზებული სპორტსკოლა, გლდანის რაიონის ზოგიერთ სკოლაში ჩამოყალიბებულია ხელბურთის სექციები... ისეთი დიდი ქალაქისთვის, როგორიც თბილისია, ეს ძალზე ცოტაა. ჩვენს ქალაქში აღარც ღია მოედნებია. მახსოვს, როდესაც კიროვის პარკის ღია მოედანზე ვთამაშობდით ხელბურთს, თითქმის მთელი ვერა გვადევნებდა თვალს. ვფიქრობ, რომ ღია მოედნების უქონლობამაც შეზღუდა ხელბურთის პოპულარობა, თუ ბავშვმა არ უყურა და თავისი თვალით არ აღიქვა ყოველივე, ძნელია, რომ იგი ხელბურთმა მიიზიდოს. კიდევ ერთი გარემოება: მოზარდი ხელბურთელი სკოლას რომ დაამთავრებს, მისი ბედი აღარავის ადარდებს. ადრე პერსპექტიული მოთამაშეები „ბურევესტნიკის" სათადარიგო შემადგენლობაში ირიცხებოდნენ, ახლა დუბლებიც გააუქმეს. ცხადია, მარტო შეკრებებითა და ვარჯიშით ვერ უშველი საქმეს, თუ სპორტსმენმა ე. წ. სათამაშო პრაქტიკა არ შეიძინა, 1972 წელს დაბადებული ჭაბუკების გუნდი, როგორც იქნა,

„შევინარჩუნეთ"... ექსპერიმენტის სახით. რამდენიმე ნიჭიერი მოთამაშეც ჩამოვიყვანეთ რაიონებიდან.

● **რა გზები გესახებათ ახალგაზრდობის მისაზიდად ხელბურთში?**

— დღევანდელმა ბავშვებმა ცოტა რამ თუ იციან ხელბურთზე, საჭიროა რაიონებში ამაღლდეს სპორტის ამ სახეობის პოპულარობა. ვეტერანთა ტურნირებიც უნდა ჩავატაროთ, ეგებ ბავშვთა ხელბურთის ფესტივალიც მოვაწყოთ! ერთი სიტყვით, ბევრის გაკეთება შეიძლება, ამისთვის საჭიროა სხვადასხვა ორგანიზაციებმა სპონსორობა გაგვიწიონ. გარკვეული სირთულის წინაშე გვაყენებს აგრეთვე დამწყებ მწვრთნელთა დაბალი ხელფასი. წარმოიდგინეთ, მან რომ 100 მანეთი მიიღოს, უნდა ავარჯიშოს... 100 ბავშვი. პირადად მე ხელფასისათვის არ დამიწყია მუშაობა, მაგრამ ეს რომ მარტო მე მეხებოდეს! ამიტომ ენთუზიასტები დღეს ძალიან ცოტანი არიან... სასურველია ინსტიტუტებს შორის მოეწყოს მიმოსვლელი შეჯიბრებები, ამით, ვფიქრობ, გაიზრდება ხელბურთის პოპულარობა სტუდენტთა შორის, [illegible] ასეთ შეჯიბრებას.

● **თქვენი აზრით, რა გზით უნდა მოხდეს ჩვენი ხელბურთის აღორძინება?**

— ზემოთ მოგახსენეთ, რომ ჩვენი „ბურევესტნიკის" წარუმატებლობა მნიშვნელოვნად განაპირობა მეორე გუნდის არყოლამ. ამიტომ ახლა ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე გვინდა შევქმნათ გუნდი. ამით, ვფიქრობ, შევკრავთ წრეს ბავშვთა ხელბურთიდან უმაღლეს ლიგამდე. ჩემი ღრმა რწმენით, „ბურევესტნიკი" კვლავ დაიმკვიდრებს უმაღლეს ლიგაში ადგილს და თუ მეორე გუნდიც არ ჩამოყალიბდა, მომავალში ამის მიღწევა გაგვიჭირდება. უნდა ამაღლდეს საქართველოს ჩემპიონატის ავტორიტეტი, აუცილებელია მისი მაღალ დონეზე ჩატარება.

● **თქვენი გუნდის მომავალი გეგმები?**

— ახლა ვემზადებით სსრ კავშირის პირველობის ფინალისთვის, რომელიც მარტის არდადეგების დღეებში გაიმართება. ჩვენთან ერთად იასპარეზებენ მოსკოვის, კრასნოდარის, მოლდავეთის, ბელორუსიისა და ლატვიის გუნდები. გადამწყვეტი შეხვედრები, ალბათ, მოსკოვში ჩატარდება. ფინალური თამაშების შემდეგ გვინდა დავიწყოთ მზადება პირველ ლიგაში გადასასვლელი ტურნირისათვის...

ესაუბრა ბია ბურდული.

• • •

სურათზე: მ. მეტრეველი.

ინფორმაცია

მელბურნი. 19 წლის ანდრეი ჩერკასოვი პირველი საბჭოთა ჩოგბურთელია, რომელმაც ავსტრალიის ღია ჩემპიონატის მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. მერვედფინალში მან ეკვადორელი ანდრეს გომეზი დაამარცხა, რომელიც უძლიერესთა შორის მეცხრე ნომრად იყო განთესილი — 2:6, 6:3, 7:6, 7:6.

ახლა ჩერკასოვს უფრო ძნელი გამოცდის ჩაბარება მოუწევს. მისი მეტოქე იქნება მსოფლიოს პირველი ჩოგანი ივან ლენდლი, რომელმაც მერვედფინალში ავსტრალიელ სიმონ იალის აჯობა — 6:1, 6:3, 6:1.

სხვადასხვა მიზეზებით გამოეთიშნენ ტურნირს ორი ფავორიტი — გაბრიელა საბატინი (არგენტინა) და ჯონ მაკინროი (აშშ).

არგენტინელმა ჩოგბურთელმა დასავლეთგერმანელ კლაუდია პორვიკთან თამაშის დროს ტრავმა მიიღო, როცა პირველი პარტია უკვე მოგებული ჰქონდა (6:2) და მეორეში დაწინაურებული იყო ანგარიშით 1:0, ექიმების აზრით სათამაშო კორტზე გამოსვლას მხოლოდ ორი კვირის შემდეგ შესძლებს.

მაკინროი კი შვედ მიკაელ პერნფორსთან შეხვედრაში დისკვალიფიცირებული იქნა უდისციპლინობისთვის. ანგარიში ამ მომენტში იყო 1:6, 6:4, 5:7 და 4:2. მაკინროის მოუწევს ფულადი ჯარიმის გადახდა (6500 დოლარის).

ლენინგრადი. აქ სტარტი აიღო საბჭოთა კავშირის პირველმა ჩემპიონატმა ბოკ-ში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ასპარეზობა მთლიანად დაფინანსებულია... სპონსორობის მიერ, თუმცა ბოკ-ს ფედერაცია საკავშირო სპორტსაკომის სისტემაში შედის.

თავი შეიკავა... თერთმეტივემ

(დასასრული)

პირდაპირ უნდა ითქვას. ასეთი გაურკვეველი, საოცარი სიტუაცია საბჭოთა ფეხბურთში არასოდეს ყოფილა. საქმეები ისე აირია, ისეთი ქაოსური გახდა, რომ ვერ გაიგებ, ვინ ხელმძღვანელობს „მის უდიდებულესობას“ — ფედერაცია, სამმართველო, ლიგების კავშირი, თუ უშუალოდ სპორტსახკომი. ერთი სიტყვით, შექმნილია სრული კონფრონტაცია, ნამდვილი საკონფლიქტო სიტუაცია და ეს მსოფლიოს ჩემპიონატის წელს, ახალი საკავშირო ჩემპიონატის დაწყების წინ.

ამიტომ გასაკვირი არაა, რომ კონფერენციაზე (მას 307 დელეგატი ესწრებოდა) გაიმართა პრინციპული საუბარი, გამომსვლელები ერთმანეთს დაუფარავად ეუბნებოდნენ სათქმელს. კონფერენციაზე სულ 27 კაცი გამოვიდა კამათში, მათ შორის კი არ იყო ჩვენი რესპუბლიკის არც ერთი წარმომადგენელი. რატომ?..

სწორედ ასეთი კითხვით დავიწყეთ საუბარი კონფერენციიდან დაბრუნებულ საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ფეხბურთის სამმართველოს უფროსთან, რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელთან **გიორგი ბაქანიძესთან:**

— საქმე ისაა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ თბილისში მოვამზადეთ გამოსვლის ტექსტი, რომელიც კონფერენციაზე ერთ-ერთ ჩვენს დელეგატს უნდა წაეკითხა. იგი, როგორც ცნობილია, წინასწარ „ლელოშიც“ დაიბეჭდა. ძირითადი დატვირთვა, რაც ამ დოკუმენტს ეკისრებოდა, ეს იყო რესპუბლიკებში ფეხბურთის დამოუკიდებელი ფედერაციების შექმნა, რომლებსაც ასევე დამოუკიდებელი კავშირი ექნებოდათ ევროპის თუ მსოფლიოს ფეხბურთის ასოციაციასთან და ფედერაციასთან, რათა თითოეული რესპუბლიკის ფეხბურთი ცალკე, საკავშირო ინსტიტუტის გარეშე გადიოდეს საერთაშორისო სარბიელზე. სხვათა შორის, საკავშირო ფედერაციის წესდების პროექტში, რომელიც კონფერენციის წინ დაგვირიგეს, პირდაპირ წერია (მე-4 პარაგრაფი, მე-10 პუნქტი), რომ საკავშირო ფეხბურთის ფედერაცია იქმნება ნებაყოფლობით საფუძველზე. თუ ეს ასეა, მაშინ უფლება გვქონია გამოვიდეთ (ან არ შევიდეთ) ფეხბურთის საკავშირო ფედერაციიდან. მით უფრო, რომ რესპუბლიკაში დღეს ფედერაცია ფაქტიურად არა გვაქვს. კონფერენციის დაწყებამდე ამის თაობაზე ვესაუბრეთ ბალტიისპირეთის, ბელორუსიის, მოლდავეთის, უკრაინისა და სომხეთის ფედერაციათა წარმომადგენლებს, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ მხარი არ დაგვიჭირეს. ერთი სიტყვით, ჩვენი დელეგატის სავარაუდო გამოსვლა, ვიგრძენით წინასწარვე, წარუმატებელი იქნებოდა. ამიტომაც გადავწყვიტეთ ტრიბუნაზე გამოსვლისგან თავი შეგვეკავებინა და დოკუმენტი ოფიციალურად ჩავაბარეთ კონფერენციას, რაც შემდგომ მის მასალებში ვიხილეთ ჩაკრული. ამის შემდეგ, როდესაც ფედერაციის წესდებას ამტკიცებდნენ, ჩვენ, ცხადია, თავი შევიკავეთ ხმის მიცემისგან. შესვენების დროს გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტი ლ. ტრახტენბერგი შეგვეკითხა, რატომ შეიკავეთ თავი წესდების მხარდაჭერისათვის საქართველოს წარმომადგენლებმაო. ვუპასუხე, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ფედერაციის დამფუძნებელი კონფერენცია ჯერ არ ჩაგვიტარებია, ამიტომ არც ფედერაცია არსებობს და, აქედან გამომდინარე, არც გარკვეული პოზიცია შეიძლება გვქონდეს.

● **მაგრამ მეორე დღეს ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებისას ჩვენმა დელეგაციამ მხარი დაუჭირა საკავშირო სპორტსახკომის ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველოს უფროსს, ფიფა-ს ვიცე-პრეზიდენტს ვიაჩესლავ კოლოსკოვს...**

— საინიციატივო ჯგუფის წევრებმა მივიჩნიეთ, რომ ვინაიდან ფეხბურთის საკავშირო ფედერაცია მაინც შეიქმნა, მის ხელმძღვანელად ვ. კოლოსკოვზე უკეთესი კანდიდატურა იქ არ იყო. მისი კანდიდატურა წამოაყენა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ფომინიხმა, რასაც მხარი დაუჭირა დელეგატთა უმრავლესობამ. სხვათა შორის, იქვე დაასახელეს კიდევ სამი კანდიდატი: ნიკიტა სიმონიანი, ანზორ კავაზაშვილი და ვიქტორ პონედელნიკი. ორმა პირველმა თავისი კანდიდატურა მოხსნა, ხოლო ვ. პონედელნიკი საერთოდ არ ესწრებოდა კონფერენციას. მოსკოველმა დელეგატმა ვ. არტემიევმა იქვე განაცხადა, რომ ვინაიდან ვ. პონედელნიკი საერთოდ თავს არიდებს ჩვენს კონფერენციას, დაისვას საკითხი ყოველკვირეულ „ფუტბოლ-ხოკეის“ რედაქტორის პოსტზე მისი ყოფნის თაობაზე, გარდა ამისა, ეთხოვოს სპორტსახკომს განიხილოს ამ ყოველკვირეულის მუშაობის საკითხი.

● **ნიკიტა სიმონიანი, კონსტანტინე ბესკოვი და იგორ ნეტო თავდაპირველად ლიგათა კავშირის ადმინისტრაციული საბჭოს წევრები იყვნენ და, ცხადია, მხარს უჭერდნენ მას, მერე კი გადაუდგნენ.**

— კონფერენციაზე სიმონიანმა თავისი, ბესკოვისა და ნეტოს სახელით პროტესტი განუცხადა ლიგათა კავშირს, რომელმაც მათი გვერდის ავლით მიიღო უმართებულო გადაწყვეტილება ახალი საკავშირო ჩემპიონატის ჩატარების სტრუქტურაზე (სამქულიანი მოგება, „გავარდნილი“ გუნდების დატოვება და სხვა). ეგრეთ წოდებულ პროფესიულ საფეხბურთო ორგანიზაციას — ლიგათა კავშირს, რომელიც შარშან ივნისში შეიქმნა, ჰქონდა თავისი წესდება და საკუთარი ანგარიში ბანკში. კონფერენციაზე გამოსულმა საკავშირო სპორტსახკომის საფინანსო სამმართველოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ზემოხსენებული ლიგათა კავშირი არ შეიძლება ჩაითვალოს ოფიციალურ ორგანოდ, მას უფლება არა აქვს ჰქონდეს საკუთარი ანგარიში ბანკში. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციულმა საბჭომ მაინც გადაწყვიტა 27 იანვარს ჩაატაროს ლიგათა კავშირის საგანგებო ყრილობა, რომელზეც თავის მხრივ განიხილავენ ახალი საკავშირო ჩემპიონატის სტრუქტურას.

● **ფეხბურთის საკავშირო ფედერაცია?..**

— იგი უკვე შეუდგა საქმიანობას, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო-საზოგადოებრივი ორგანიზაცია. გაიმართა ფედერაციის პირველი პლენუმი, რომელზეც აირჩიეს ალმასკომი (48 წევრი) და სამუშაო ბიურო. თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს ხუთი კაცი — მათ შორის ნიკიტა სიმონიანი (პირველი მოადგილე), იური ნირკოვი და კონსტანტინე ბესკოვი. პასუხისმგებელ მდივნად — ალექსეი პარამონოვი, კონფერენციაზე აირჩიეს, აგრეთვე, ფედერაციის საბჭო 193 წევრის შემადგენლობით, მათ შორის დავით ყიფიანი (თბილისის „დინამო“) და გულსუნდა დუნდუა (ლანჩხუთის „გურია“).

ევროპის გუნდების კლასიფიკაცია

ევროპის ქვეყნებში მრავალი საფეხბურთო ჟურნალი და გაზეთი გამოდის, ბევრ მათგანს ტრადიციად აქვს განვლილი სეზონის საუკეთესო ნაკრები გუნდების საკლასიფიკაციო სიების გამოქვეყნება.

ამ კლასიფიკაციებიდან ყველაზე ავტორიტეტულია საფრანგეთის „ფრანს ფუტბოლისა“, რომელმაც გამოაქვეყნა ევროპის 20 საუკეთესო გუნდის სია: 1. ჰოლანდია, 2. ბელგია, 3. ირლანდია, 4. ესპანეთი, 5. იუგოსლავია, 6. ინგლისი, 7 გფრ, 8. სსრ კავშირი, 9. იტალია, 10. შვეცია, 11. ჩეხოსლოვაკია, 12. დანია, 13 რუმინეთი, 14. შოტლანდია, 15. საფრანგეთი, 16. პორტუგალია, 17. ავსტრია, 18 პოლონეთი, 19. გდრ, 20. ნორვეგია.

ავსტრიის აპა-ს კლასიფიკაცია ასეთია: 1. ინგლისი, 2. ბელგია, 3. ირლანდია, 4. გფრ, 5. ჰოლანდია, 6. ესპანეთი, 7. ჩეხოსლოვაკია, 8. შვეცია, 9. იუგოსლავია, 10. იტალია, 11. სსრ კავშირი, 12. დანია, 13. შოტლანდია, 14. საფრანგეთი, 15. პორტუგალია, 16. რუმინეთი, 17. ავსტრია, 18 პოლონეთი, 19. გდრ, 20. თურქეთი.

იუგოსლავიის „სპორტსკე ნოვოსტის“ პირველი ოცეული ასე გამოიყურება: 1. ბელგია, 2 ირლანდია, 3. ინგლისი, 4. ესპანეთი, 5. იუგოსლავია, 6. ჩეხოსლოვაკია, 7. ჰოლანდია, 8. გფრ, 9. შვეცია, 10. იტალია, 11. სსრ კავშირი, 12. შოტლანდია, 13. რუმინეთი, 14. ავსტრია, 15. დანია, 16. საფრანგეთი, 17. პორტუგალია, 18. გდრ, 19. პოლონეთი, 20. თურქეთი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „ფუვო“ ევროპის გუნდების ასეთ განლაგებას გვთავაზობს: 1. ბელგია, 2. ინგლისი, 3. ესპანეთი, 4. ჰოლანდია, 5. გფრ, 6. ირლანდია, 7. იუგოსლავია, 8. შვეცია, 9. ჩეხოსლოვაკია, 10. სსრ კავშირი, 11. იტალია, 12. შოტლანდია, 13. რუმინეთი, 14. დანია, 15. ავსტრია, 16. საფრანგეთი, 17. პორტუგალია, 18. უნგრეთი, 19. თურქეთი, 20. პოლონეთი.

სიმბოლური ნაკრები

ფრანგულმა ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა“ ამას წინათ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის „ოქროს ბურთის“ პრიზი მიაკუთვნა ჰოლანდიელ მ. ვან ბასტენს.

რეფერენდუმის შედეგად მიღებულ ხმათა რაოდენობით „ფრანს ფუტბოლმა“ შეადგინა ევროპის თავისებური სიმბოლური ნაკრებიც, რომელშიც შევიდნენ:

მეკარე — შილტონი (ინგლისი, „დერბი ქაუნთი“), **მცველები** — მათეუსი (გფრ, თამაშობს იტალიის „ინტერში“), რაიკარდი (ჰოლანდია, „მილანი“). ბარეზი (იტალია, „მილანი“), ბრემე (გფრ, „ინტერი“); **ნახევარმცველები** — მიხაილიჩენკო (სსრ კავშირი, „დინამო“, კიევი), სტოიკოვიჩი (იუგოსლავია, „ცრვენა ზვეზდა“), ჰაჯი (რუმინეთი, „სტიაუა“); **თავდამსხმელები** — გულიტი (ჰოლანდია, „მილანი“), ვან ბასტენი (ჰოლანდია, „მილანი“), კლინსმანი (გფრ, „ინტერი“).

ა. ზავაროვი ჩივის „იუვენტუსს“

იტალიის გაზეთ „კორიერე დელო სპორტში“ გამოქვეყნდა წერილი, სადაც ტურინის „იუვენტუსში“ მოთამაშე საბჭოთა ფეხბურთელი ა. ზავაროვი უჩივის თავის კლუბს. იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-13 ტურში „იუვენტუსი“ ეთამაშებოდა „ბოლონიას“, მატჩის მსვლელობაში ა. ზავაროვი შეცვალეს. ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ამ შეცვლამ მასზე ცუდად იმოქმედა, დაღლილობას იგი არ გრძნობდა და შეეძლო ბოლომდე ღირსეულად ეთამაშა. გარდა ამისა, ა. ზავაროვი ჩივის, რომ კარგად დაიწყო წლევანდელი სეზონი, მაგრამ შემდგომში თავი იჩინა ხარვეზებმა და ეს იმის გამო, რომ მას გუნდში არასწორად იყენებენ. ფეხბურთელს თავის სამოქმედო ზონად ცენტრი მიაჩნია, სადაც მეტი თავისუფლება აქვს.

„იუვენტუსის“ მწვრთნელმა დ. ძოფმა ა. ზავაროვის განცხადებას თავისებური რეაქცია მისცა. მან განაცხადა, რომ ა. ზავაროვს მოქმედების სრული თავისუფლება ჰქონდა და არც რაიმე კონკრეტული როლი ეკისრებოდა.

ცნობილმა სპეციალისტებმა იტალიის პრესაში გამოთქვეს აზრი, რომ დ. ძოფი და ა. ზავაროვი ვერ მორიგდებიან, საბჭოთა ფეხბურთელს ალბათ, მოუწევს „იუვენტუსის“ დატოვება. წერენ იმასაც, რომ ტურინის ცნობილი კლუბი ახალ ფეხბურთელებს ეძებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კლუბებში.

მოსკოვის „ტორპედო“ ავსტრალიაში

მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელები, რომლებიც ავსტრალიაში იმყოფებიან, სიდნეიში შეხვდნენ ამ ქვეყნის პირველ ნაკრებს. ტორპედოელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0, ბურთები გაიტანეს ნ. სავიჩევმა და გიცელოვმა. აღნიშნავენ ტორპედოელთა მეკარე ვ. სარიჩევის საუკეთესო თამაშს, მან რამდენიმეჯერ იხსნა გუნდი აშკარა ხიფათისგან.

ტორპედოელები ავსტრალიაში კიდევ 3 მატჩს ჩაატარებენ: 28 იანვარს, 31 იანვარს და 2 თებერვალს.

ფეხბურთის ახალი ამბები

● **მადრიდის** „რეალმა“ გააგრძელა კონტრაქტები წამყვან მოთამაშეებთან. ბუტრაგენიო, მიჩელი და სანჩესი იტალიის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგაც დარჩებიან კლუბში. რაც შეეხება ნაკრების წამყვან ნახევარმცველ მარტინ ვასკესს, იგი ჯერ არ ჩქარობს ხელშეკრულების განახლებას. ესპანური პრესის ცნობით, ვასკესს ეპატიჟება „რეალის“ მთავარი კონკურენტი „ბარსელონა“ და მადრიდის „ატლეტიკო“. სამაგიეროდ უკვე ცნობილია, რომ ვეტერან რაფაელ გორდილოს მემკვიდრე გახდება „სარაგოსაში“ მოთამაშე ვილაროხა.

● **ჩვენს** პრესაში ბევრი იწერება საუკეთესო დანიელ ფეხბურთელთა ექსპორტზე უცხოეთში. მორიგი ჩემპიონატის დაწყებამდე კიდევ რამდენიმე მოთამაშე გადავა პროფესიონალებში. ესენია: „1903 კოპენჰაგენის“ ფორვარდი გუტენბორგი (საფრანგეთის „ლილი“) და „ფრამში“ მოთამაშე წარმოშობით უნგრელი მიკლოშ მოლნარი („სტანდარდი“, ბელგია). სამაგიეროდ, „ბრონდბიუმ“ მოიწვია ინგლისელი ფრანკ პინგელი („ნიუკასლი“). შესაძლოა ეს ახალი ეტაპის მომასწავებელი იყოს და დანიამ თვითონ დაიწყოს მოთამაშეთა იმპორტი.

● **ფინეთის** ნაკრების სამი წამყვანი მოთამაშე გადავიდა პროფესიულ გუნდებში. ესენია: ტიაინენი („აიაქსი“, ჰოლანდია), რანტანენი („ლესტერ სიტი“ ინგლისი) და რაუტიაინენი („ვატერსხეი“, ბელგია). ახლა ფინელებიც, სხვა სკანდინავიის ქვეყნების მსგავსად, მთელს ევროპაში იქნებიან გაბნეულნი. შეგახსენებთ, რომ შარშან ნაკრების თითქმის მთელი შემადგენლობა ე. წ. ლეგიონერთაგან იყო შეკრებილი.

● **შვეიცარიული** ფეხბურთის ბოლოდროინდელი ლიდერი ნევშატელის „ქსამაქსი“ არც წლევანდელ სეზონში თმობს პოზიციებს. I წრის შემდეგ იგი მეორე ადგილზეა და სულ ერთი ქულით ჩამორჩება „სენტ გალენს“. მიუხედავად ამისა, კლუბის დირექტორატმა მიიღო გადაწყვეტილება ახალი მწვრთნელის მოწვევის თაობაზე. არჩევანი შეჩერდა ინგლისელ ბობ ჰოუტონზე, რომელიც აქამდე შვეციის „მალმიოსთან“ მუშაობდა.

● **პოლონეთის** ნაკრების ყოფილი ლიდერი ვლოძიმეჟ სმოლარეკი კვლავ იცვლის კლუბს. როგორც იცით, ბოლო წლებში იგი ჰოლანდიის „ფეიენოორდის“ ღირსებას იცავდა, ახლა კი ამავე ქვეყნის „უტრეხტში“ ითამაშებს.

● **პრობლემები** გაუჩნდათ ეგვიპტის ნაკრების ხელმძღვანელებს. გუნდის საუკეთესო თავდამსხმელი ხიშამ აბდელ რასული საგზაო კატასტროფაში მოჰყვა და მძიმედ დაშავდა. ექიმთა აზრით, იგი ვერ გამოვა მსოფლიო პირველობაზე.

● **ირლანდიელმა** ბიზნესმენებმა გადაწყვიტეს დუბლინში ჩამოაყალიბონ ახალი პროფესიული კლუბი, რომელიც თავის მატჩებს 48 ათასიან „ლანსდაუნ როუდის“ სტადიონზე ჩაატარებს. ეს კლუბი უნდა ჩაერთოს არა ირლანდიის, არამედ შოტლანდიის II ლიგის ჩემპიონატში. ამის მიზეზია ადგილობრივი გუნდების თამაშის დაბალი დონე, რაც ადრე თუ გვიან დაეტყობა ახალ კლუბს და მის გაკოტრებას გამოიწვევს.

● **მადრიდის** „რეალის“ პრეზიდენტმა რამონ მენდოზამ ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში თქვა, რომ არ აპირებს ურუგვაელ რუბენ სოსას ყიდვას. როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, ყველაფერი ამ კონტრაქტის ირგვლივ მონაჭორია. მომავალი წლიდან გუნდს დატოვებენ გერმანელი ბერნდტ შუსტერი და არგენტინელი ოსკარ რუჯერი, რომლებიც ვერ ეწყობიან კლუბის მუშაობის ახალ სტილს.

● **ბრაზილიის** ნაკრების ნახევარმცველ სილასს დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა მოლაპარაკება იტალიურ კლუბებთან, მაგრამ ვერა და ვერ შეუთანხმდა მათ. ამ დღეებში სილასმა 2 წლით გააგრძელა კონტრაქტი ლისაბონის „სპორტინგთან“.

● **საფრანგეთის** ნაკრების მეკარე ჟოელ ბათსი ერთი იმათგანია, ვინც შემორჩა გუნდს 1984 წლის ევროპის ჩემპიონატიდან. მისი თამაში დღესაც ისეთივე საიმედოა, როგორც ადრე. ამას წინათ ქვეყნის მთავრობამ ბათსი დააჯილდოვა საპატიო ორდენით.

● **1986 წლის** მსოფლიო ჩემპიონმა ხორხე ბურუჩაგამ, რომელიც რამდენიმე წელია საფრანგეთის „ნანტში“ გამოდის, როგორც იქნა, დაიყოლია კლუბის ხელმძღვანელები მის რომელიმე იტალიურ კლუბში გაყიდვაზე. როგორც ჩანს, ახალ სეზონს ბურუჩაგა უკვე აპენინის ნახევარკუნძულზე დაიწყებს.

● **არგენტინის** ნაკრები მარტის ბოლოს კვლავ ეწვევა ევროპას. 28 მარტს იგი გლაზგოში ითამაშებს შოტლანდიასთან, 4 აპრილს ბარსელონაში კატალონიის ნაკრებს შეხვდება, 5 მაისს — ავსტრიას.

● **დიდი** ხნის ყოყმანის შემდეგ, როგორც იქნა, დაინიშნა მექსიკის ნაკრების ახალი მწვრთნელი. ესაა მანუელ ლაპუენტე, რომელიც აქამდე კლუბ „პუებლას“ ავარჯიშებდა.

● **„ჰამბურგის“** ბოლოდროინდელი ჩავარდნა (მე-14 ადგილი ბუნდესლიგაში) დასრულდა მწვრთნელ ვილი რაიმანის განთავისუფლებით. მისი ადგილი დაიკავა გერდ-ფოლკერ შოკმა, რომელიც ადრე კლუბის ახალგაზრდულ გუნდში მუშაობდა.

(საქ. ინფ.)

მ. ვან ბასტენის „სავიზიტო ბარათი“

ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა“ 1989 წელს თავისი ტრადიციული ჯილდო „ოქროს ბურთი“ მეორედ მიაკუთვნა ჰოლანდიელ ვარსკვლავს მარკო ვან ბასტენს და სპორტულმა პრესამაც მას უამრავი საინტერესო მასალა უძღვნა. გთავაზობთ მ. ვან ბასტენის სავიზიტო ბარათს.

დაიბადა 1964 წლის 30 ოქტომბერს, სიმაღლე — 188 სმ, წონა 80 კგ, უცოლოა, განათლება — საშუალო.

ფეხბურთის თამაში დაიწყო 6 წლისამ უტრეხტში (ჰოლანდია), პირველი კლუბი — უტრეხტის „ელინვიკი“ (1974-82), შემდეგ — ამსტერდამის „აიაქსი“ (1982-87 წ.), იტალიის „მილანი“ (1987 წლიდან).

პირველი მწვრთნელი — მამა იოოპი, რომელიც ჰოლანდიის პირველ ლიგაში თამაშობდა.

დებიუტი უმაღლეს ლიგაში — 1982 წელი „აიაქს“-„ნიიმეგენის“ მატჩი, პირველი გოლი — იმავე მატჩში, ღირსებები — გამჭრიახი გონება, გოლის გატანის ალღო, გაბედული თამაში, მაღალი ტექნიკა.

ყველაზე დიდი უსიამოვნება — ორივე მუხლის ოპერაცია, ხელის მოტეხილობა.

დებიუტი ნაკრებში — 19 წლის ასაკში ისლანდიელების წინააღმდეგ, იდეალური პარტნიორი — რუუდ გულიტი.

ძირითადი წარმატებები — ევროპის ჩემპიონი (1988 წ), ჩემპიონთა თასის მფლობელი (1989 წ.), თასების მფლობელთა ტურნირში გამარჯვებული (1987 წ), ორგზის „ოქროს ბურთის“ მფლობელი (1988 1989 წ.), „ოქროს ბუცის“ მფლობელი (1986 წ.), ჰოლანდიის სამგზის ჩემპიონი (1982, 1983, 1985 წ.), იტალიის ჩემპიონი (1988 წ.).

ჰობი: ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ბეისბოლი, წყალში ხტომა.

მიზანი — მსოფლიო ჩემპიონობა 1990 წელს.

მასპინძლები კვლავ უკონკურენციოდ

(დასასრული)

სხვათა შორის, აჭარის სპორტსმენებიც წყალში ხტომას მხოლოდ ზაფხულობით ახერხებენ ზღვაში, რადგან ზამთრის აუზი არა აქვთ.

ქუთაისელებსაც მხოლოდ ღია საცურაო აუზი აქვთ და ზამთრობით შეჯიბრებების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, თბილისში ჩამოდიან სავარჯიშოდ.

ბუნებრივია, ასეთ პირობებში ვერც ქუთაისელები, ვერც ბათუმელები და სოხუმელები თბილისელებს სერიოზულ კონკურენციას ვერ გაუწევენ და ვერც უწევენ. თბილისელი სპორტსმენები რესპუბლიკურ ჩემპიონატში როგორი შემადგენლობითაც არ უნდა გამოვიდნენ, გუნდურ პირველობაში მაინც გაიმარჯვებენ. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა ვაკის საცურაო აუზში გამართულმა ზამთრის ჩემპიონატმაც.

ამ ჩემპიონატის მონაწილენი იმისთვის რომ მოზარდი მხტომელები წაეხალისებინათ, არაოფიციალურად ორ ასაკობრივ ჯგუფად დაყვეს და გამარჯვებულნიც ცალ-ცალკე გამოავლინეს. ამით უმცროსებს თავის გამოჩენის მეტი შესაძლებლობა მიეცათ, თუმცა, მეორე მხრივ ორივე ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს კონკურენტები დააკლდათ. მაგალითად, ქალთა კოშკიდან ხტომაში მხოლოდ ჩემპიონი გამოვლინდა, გოგონათა და ბიჭების 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ასპარეზობაში კი ორ-ორი პრიზიორი.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი უძლიერესი წყალში მხტომელები, სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენელთაგან განსხვავებით, რესპუბლიკურ ჩემპიონატებს თავს არ არიდებენ. ამჯერად სარბიელზე ყველა ჩვენი საუკეთესო სპორტსმენი ვერ ვიხილეთ. როგორც საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა იური გუტიაკულოვმა გვითხრა, ისინი საკავშირო ჩემპიონატისთვის ინდივიდუალური პროგრამით ემზადებიან და მათთვის თბილისში გამართული ასპარეზობა ვარჯიშის გრაფიკის დარღვევა იქნებოდა.

რაც შეეხება ჩემპიონატის მონაწილეებს, მათი მომზადების დონე სპორტული სეზონის ამ პერიოდისთვის ურიგო არაა.

ასპარეზობაში ყველაზე მეტად თავი გამოიჩინეს ინგა ბანდურმა და გოჩა გახარიამ, რომლებმაც ორ-ორი გამარჯვება მოიპოვეს. გახარია აქამდეც საქართველოს ჩემპიონი იყო, აი, ბანდური კი პირველად ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

ავთანდილ გურასაშვილი.

21ვ კვარცხლბეკი

ქალები. 1-მეტრიანი ტრამპლინიდან. ი. ბანდური — 460 ქულა, ნ. ნებიერიძე — 416, ლ. კოვალიოვა (სამივე — თბილისის „შევარდენი“) — 378. **3-მეტრიანი ტრამპლინი.** ბანდური — 508,56, ნებიერიძე — 533, კოვალიოვა — 383,08. **კოშკი.** ნებიერიძე — 408,39.

ვაჟები. 1-მეტრიანი ტრამპლინი. ვ. ბიჭაშვილი — 510,16, გ. გახარია — 496,72, გ. ციბირაშვილი (სამივე — თბილისი, „შევარდენი“) — 471,97. **3-მეტრიანი ტრამპლინი.** გახარია — 602,73, ბიჭაშვილი — 597,22, მ. არაქელოვი (თბილისის „შევარდენი“) — 551.04.

კოშკი. გახარია — 550,17, ბიჭაშვილი — 515,97, ციბირაშვილი — 567,48.

გუნდური. თბილისი, ბათუმი, ქუთაისი.

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში • I ლიგა

ორი განსხვავებული შეხვედრა

პირველი წრის ბოლო შეხვედრები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელ ქალთა გუნდმა, როგორც იცით, როსტოვის „კრასნი აქსაისთან“ შინ ჩაატარა და დამაჯერებელი გამარჯვებები მოიპოვა, ოღონდ შემდეგ, უკვე სტუმრად, ამავე „კრასნი აქსაისთან“ ორივე მატჩი დათმო.

როსტოვში გამოსვლის შემდეგ ჩვენი კალათბურთელები ამ დღეებში რიგის ტტტ-ს მასპინძლობდნენ. მართალია, ტტტ ის „დიდი გუნდი“ აღარ არის და დღეს პირველ ლიგაში ასპარეზობს, მაგრამ არც ერთი გუნდისთვის იოლი მოწინააღმდეგე არ გახლავთ, პირველი ლიგის ერთ-ერთი ლიდერია და უმაღლეს ლიგაში დაბრუნების კარგი შანსიც აქვს.

მაყურებელი საინტერესო თამაშს მოელოდა, ერთმანეთის პირისპირ ხომ ორი ლიდერი იდგა, რომლებიც სწორედ I-II ადგილებს იყოფენ სატურნირო ცხრილში.

შეხვედრის დასაწყისი (სამი წუთი) თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგრამ ჩვენი გუნდის უპირატესობა ნელ-ნელა იკვეთებოდა. ანგარიშში სხვაობა თანდათანობით მათს სასარგებლოდ იზრდებოდა და პირველი ტაიმი მასპინძლებმა მოიგეს 18 ქულით — 48:30.

შესვენების შემდეგაც ჩვენს გუნდს შეტევები არ შეუნელებია. მეოთხე წუთიდან მცირე ხნით თითქოს რიგელები გააქტიურდნენ, ანგარიშში სხვაობა ცოტაოდენ შეამცირეს კიდეც, მაგრამ სულ ეს იყო, რის გაკეთებაც ამ დღეს მათ შეძლეს. ჩვენმა გუნდმა გაიმარჯვა 21 ქულის სხვაობით — 78:57. ამ დღეს მის წევრებს, რომ იტყვიან, ყველაფერი გამოსდიოდათ და მოედნის სრული ბატონ-პატრონები იყვნენ. გუნდში ყველაზე შედეგიანები იყვნენ ვერა კოზლოვა (22 ქულა) და მედეა მხეიძე (15 ქულა).

განმეორებით შეხვედრაში, რომელიც კვირას გაიმართა, მეტოქეებმა უფრო ფრთხილად და დაკვირვებით დაიწყეს თამაში. მე-15 წუთამდე ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო გარკვეული უპირატესობის მოპოვება. პირველი ტაიმის დარჩენილ დროში რიგელთა კოლექტივი უფრო მობილიზებული ჩანდა, მას ნაკლებად მოსდიოდა შეცდომები და პირველი ტაიმი მოიგო ხუთი ქულის უპირატესობით — 48:43.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და ტტტ-ს შეხვედრის ეპიზოდი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

შესვენების შემდეგ სტუმრები გააქტიურდნენ, ზედიზედ სამჯერ ზუსტად განახორციელეს სამქულიანი სროლა და უკვე მეათე წუთისთვის ანგარიშში სხვაობამ 14 ქულას მიაღწია — 55:69. შემდეგ ინიციატივა ჩვენი გუნდის მხარეს გადავიდა, ანგარიშში სხვაობაც თანდათანობით შემცირდა, მაგრამ... თბილისელი კალათბურთელები დამარცხდნენ ოთხი ქულის სხვაობით — 69:73. ამ დღეს ჩვენი გუნდიდან ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები იყვნენ მედეა მხეიძე (29 ქულა) და ნატო ლორია (22 ქულა).

რა იყო ჩვენი დამარცხების მიზეზი? შეხვედრის შემდეგ ამ კითხვით მივმართეთ თბილისელთა მთავარ მწვრთნელს გარი არუთინოვს.

— „როსტოვში გამგზავრების წინ ავად გახდა ჩვენი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ნ. ლორია; ამას გარდა კიდევ სამი მოთამაშე შეუძლოდ გრძნობდა თავს, ზოგი ტრავმების გამო და ზოგიც — გრიპით იყო ავად. თბილისშიც, როგორც ნახეთ, ფაქტობრივად შვიდი-რვა მოთამაშით ჩავატარეთ შეხვედრები. მართალია ლორია თამაშობდა, მაგრამ ტრავმა მიიღო სირაძემ. კოზლოვაც ძლივს იდგა მოედანზე. შინ დამარცხება ყოველთვის დასანანია, მითუმეტეს როცა ლიდერთა შორის ვიმყოფებით. მომავლისათვის, ვფიქრობ, გამოვასწორებთ მდგომარეობას, თუმცა ძნელი შეხვედრები მოგველის“.

24-25 იანვარს ჩვენი გუნდი კიდევ ერთ ლიდერს, კაუნასის „ბანგას“ მასპინძლობს. შეხვედრები გაიმართება ლენინის სახელობის დარბაზში. დასაწყისი 17 საათზე. 18,30 საათზე გაიმართება სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრები.

„ლელოს“ კორ.

▲ ▲ ▲

ამერიკელ მოჭიდავეთა დებიუტი

როგორც ცნობილია, აშშ-ს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები 26-28 იანვარს მონაწილეობას მიიღებს თბილისის საერთაშორისო ტურნირში. მანამდე კი სტუმრები ტურნეს ატარებენ საბჭოთა კავშირის ქალაქებში.

პირველი ასეთი შეხვედრა აშშ-სა და საბჭოთა ნაკრებს შორის მოეწყო კიროვსკში (მოგილიოვის ოლქი) და დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 6:4. შეუპოვრობისა და მიზანსწრაფვისთვის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა აშშ-ს ნაკრების წევრმა რიკი ჩაპორელიმ (82 კგ). რასულ კატინოვასოვთან ბრძოლის პირველსავე წუთზე მან მუხლი დაიზიანა, მაგრამ ორი წუთის შემდეგ გამოვიდა სარბიელზე და გამარჯვება მოიპოვა.

ორჯერ მოუხდა ხალიჩაზე გამოსვლა ამერიკელთა შორის ყველაზე მსუბუქ მოჭიდავეს (48 კგ) ტიმ ვეინის. ჯერ მან გუნდურ ასპარეზობაში ულანუდელი ანდრეი მატიუნოვი დაამარცხა, მერე კი პირად ტურნირში გამოვიდა და თავად დამარცხდა 18 წლის გომელელ ვუგარ ორუჯევთან.

პირად პირველობაში საბჭოთა ათლეტთაგან გამარჯვებები მოიპოვეს, აგრეთვე, იგორ სმალმა (57 კგ), იგორ კოზირმა (74 კგ) და ალექსანდრე სავკომ (82 კგ).

შეგახსენებთ, რომ საბჭოთა და ამერიკელი მოჭიდავეების შეხვედრებს ოცწლიანი ისტორია აქვს. ამ ხნის განმავლობაში მათ ასზე მეტი ოფიციალური სამატჩო ორთაბრძოლა გამართეს.

◆ ◆ ◆

„უხეში“ სტარტი

რაგბი

შაბათს გაიმართა მორაგბეთა ერთ-ერთი უმთავრესი, დიდი ტრადიციების მქონე საერთაშორისო შეჯიბრების — „ხუთი ერის პირველობის“ სასტარტო შეხვედრები.

61-ე ტურნირის პირველ ტურში ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტებად აღიარებულმა ინგლისელებმა ლონდონის გარეუბან თვიქნემში ირლანდიის ნაკრებს უმასპინძლეს. მართალია, მასპინძლებმა საბოლოოდ დიდი ანგარიშით — 23:0 (7:0) გაიმარჯვეს, მაგრამ მატჩი ერთობ დაძაბულად წარიმართა. ჩვეულებისამებრ, ირლანდიელი მორაგბეები თავგანწირულად და გაафთრებითაც კი თამაშობდნენ, აუტიდან მოწოდებული ბურთისათვის ბრძოლასა და მოიერიშის შებოჭვაში ინგლისელებს ტოლს არ უდებდნენ. მხოლოდ შეხვედრის ბოლო ათ წუთში გატეხეს ინგლისელებმა მეტოქე და კიდევ სამი ლელო გაუტანეს. სულ კი გამარჯვებულთა ანგარიშზე ოთხი ლელო (ფრობინი, ეჯერთონი, რ. ანდერვუდი, გასქოთი), ორი გარდასახვა და ერთი საჯარიმო (მცველი ჰოჯქინსონი).

სულ სხვაგვარად წარიმართა შეურიგებელი მეტოქეების — უელსისა და საფრანგეთის გუნდების შეხვედრა კარდიფის „არმზ ფარქზე“. 80-იან წლებში წამყვან მოთამაშეთა პროფესიონალებში გადასვლით დასუსტებულმა მასპინძლებმა ფიცხელი ბრძოლა გაუმართეს ამავე ხანებში აღზევებულ ფრანგებს: შეხვედრის 32-ე წუთისთვის ანგარიში თანაბარი იყო — 9:9. მაგრამ აქ ინგლისელმა მსაჯმა ჰოვარდმა წრეგადასული უხეშობისთვის მოედანი დაატოვებინა უელსელთა მეორე ხაზის მორკინალ მოუზლის, რომელმაც წაქცეულ მეტოქეს რაქის დროს განზრახ ჩააზილა წიხლი. ამ ინციდენტის შემდეგ უელსელებმა ერთი პირობა კიდევ გაიბრძოლეს, ორჯერაც დაწინაურდნენ — 13:9 და 16:15, მაგრამ შეხვედრის ბოლო ხუთ წუთში, როცა მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩებოდნენ ფრანგებს, ჰარბი მეტოქის შემოტევას ველარ გაუმკლავდნენ და დამარცხდნენ — 19:29 (13:9). სულ ფრანგებმა — ლაფონმა, სელამ, კამბერაბერომ, ლაჟისკემ, როდრიგესმა ხუთი ლელო გაიტანეს, რომელთაგან სამი გარდასახა კამბერაბერომ. მანვე შეაგდო ერთი საჯარიმოც. უელსელთაგან სორბერნმა ოთხჯერ ზუსტად დაარტყა საჯარიმო, თითლიმ ლელო გაიტანა, ევანსმა კი — არეკნი. ამგვარად, ფრანგებმა ზედიზედ მერვედ დაამარცხეს უელსელები, თუმცა ურთიერთშეხვედრების საერთო ბალანსში მეტოქეს ჯერაც 12 მოგებით ჩამორჩებიან.

კვირას მოეწყო დისციპლინის კომიტეტის სხდომა, რომელშიც მოუზლის სექტემბრამდე აუკრძალეს რაგბის თამაში. აღსანიშნავია, რომ ეს უელსელი მხოლოდ მე-14 მოთამაშეა, ვინც კი საერთაშორისო შეხვედრების 113-წლიან ისტორიაში გაუძევებიათ მოედნიდან. ისიც ნიშანდობლივია, რომ ამგვარ „შავ სიაში“ ყველაზე მეტი უელსელი და ფიჯელია — შესაბამისად ოთხი და სამი.

შეჯიბრების მეორე ტურში, რომელიც ორი კვირის შემდეგ, 3 თებერვალს გაიმართება, ითამაშებენ საფრანგეთი — ინგლისი და ირლანდია — შოტლანდია.

„სპორტპროგნოზი“

მე-3 ტირაჟის შედეგები
(19-21 იანვარი)
1-2, 2-2, 3-1, 4-2, 5-X, 6-1, 7-X, 8-1, 9-2, 10-1, 11-2, 12-1, 13-1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

გათამაშდა იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე საგზური. ბედნიერი ბილეთის ნომერია 47783202 სერია „CA“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიდერის მტკიცე პოზიცია

შედგა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა მორიგი ტურის მატჩები.

პანევეჟისი. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ კაუნასის „ჟალგირისი“ პირველ მატჩში ქულით დამარცხდა რიგის ვეფ-თან — 88:89. განმეორებითი ორთაბრძოლა კაუნასელებმა გაცილებით უკეთ ჩაატარეს და დიდი ანგარიშითაც მოიგეს — 121:106.

მოსკოვი. ადგილობრივმა არმიელებმა ზედიზედ ორი შეხვედრა მოუგეს დონეცკის „შახტიორს“ და კიდევ უფრო განიმტკიცეს ლიდერის პოზიციები 98:79 (50:39) და 109:69 (50:33).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 იანვრისთვის

ცსკა	27	23	4	50
ვეფ (რიგა)	28	16	12	44
„ბუდიველ.“ (კ.)	26	17	9	43
„დინამო“ (მ.)	24	16	8	40
„ჟალგირ“. (კაუნ.)	27	13	14	40
„კალევი“ (ტალ.)	25	14	11	39
რტი (მინსკი)	28	11	17	39
„სპარტაკი“ (ლენ.)	27	11	6	38
ასკ (ალმა-ათა)	22	15	7	37
„დინამო“ (თბ.)	25	9	16	34
„შახტ.“ (დონ.)	26	7	19	33
„სტატიბა“ (ვილნ.)	26	4	22	30

შენიშვნა: უკვე ვიუწყებოდით, რომ მინსკის რტი-სა და ლენინგრადის „სპარტაკის“ კალათბურთელთა 17 იანვრის შეხვედრა დამთავრდა მინსკელთა გამარჯვებით 75:69. მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ამ ანგარიშით გამარჯვება ლენინგრადელებს მოუპოვებიათ.

ამ ცხრილში შეტანილია სათანადო შესწორება.

⊙ ⊙ ⊙

„პშეგლონდ სპორტოვის“ ანკეტით

ვარშავის გაზეთმა „პშეგლონდ სპორტოვიმ“ გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერეს მოყვარულ მოკრივეთა სია: 48 კგ — გრიფინი (აშშ), 51 კგ — არბაჩაკოვი (საბჭოთა კავშირი), 54 კგ — კარიონი (კუბა), 57 კგ — ხამატოვი (საბჭოთა კავშირი), 60 კგ—გონსალესი (კუბა), 63, 5 კგ — რუჟნიკოვი (საბჭოთა კავშირი), 67 კგ —ვასტაგი (რუმინეთი), 71 კგ — აკოფკოხიანი (საბჭოთა კავშირი), 75 კგ — კურიავკა (საბჭოთა კავშირი), 81 კგ — მასკე (გდრ), 91 კგ — სავონი (კუბა), + 91 კგ — ბალადო (კუბა).

⊙ ⊙ ⊙

„სპორტლოტო“

მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ 1990 წლის მესამე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 16 (ცხენოსნობა), 17 (საციგურაო სპორტი), 21 (ცურვა), 24 (ხელბურთი), 28 (ტყვიის სროლა), 42 (ჩოგბურთი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 6 (ძიუდო), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 19 (სათხილამურო რბოლები), 22 (წყალში ხტომა).

რედაქტორის მოადგილე
უ. ჯიჯინაძე

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
ფოტოებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-54,
სპორტის — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-52,
„ზარზმა“ — 93-97-26, „ბიბლიო“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66125

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაზური კორპუსში: ხაზურძელ, 20.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08709